

საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე მორგებული
მხარდამჭერი სერვისების იდენტიფიცირება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი



კვალიფიკაციების განვითარების სამსახური



შინაარსი

&1. შესავალი.....	3
&1.1 კვლევის მიზანი.....	3
&1.2 საკვლევი კითხვა.....	3
&2. კვლევის მეთოდოლოგია	4
&2.1 კვლევის მეთოდები	4
&2.2 შერჩევა.....	5
&2.3 მონაცემთა ანალიზი	5
&3. კვლევის შედეგების ანალიზი	6
&3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებრივი კვლევის შედეგები	6
&3.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივი კვლევის შედეგები	8
&3.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებრივი კვლევის შედეგები.....	13
&3.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივი კვლევის შედეგები	15
&4. კვლევის ძირითადი მიგნებები და შემდგომი ნაბიჯები	27
&4.1 ძირითადი მიგნებები და დაგეგმილი ნაბიჯები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან დაკავშირებით	27
&4.2 ძირითადი მიგნებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიხედვით	29
დაგეგმილი ნაბიჯები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით	30



&1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის (შემდგომში - კვალიფიკაციების სამსახური) მიერ 2021 წლის იანვარი-მარტის პერიოდში ჩატარებული კვლევის ანგარიშს, რომელიც მიმართულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით დაადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებები და განსაზღვროს მათზე მორგებული მხარდამჭერი სერვისები ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მანდატის ფარგლებში.

&1.1 კვლევის მიზანი

პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ საჭიროებებზე მორგებული მხარდამჭერი სერვისების განსაზღვრა.

&1.2 საკვლევი კითხვა

რა სახის მხარდამჭერი სერვისები სჭირდებათ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს კვალიფიკაციების სამსახურისგან:

- პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიური თვალსაზრისით;
- პროგრამის შინაარსობრივი აგებულების თვალსაზრისით;
- პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით;
- პროგრამის განვითარების თვალსაზრისით;
- ახალი პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ინიცირების თვალსაზრისით.



&2. კვლევის მეთოდოლოგია

&2.1 კვლევის მეთოდები

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის პირველ ეტაპზე, თვისებრივი კვლევის ფარგლებში 2021 წლის 23 თებერვალს ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფოკუს-ჯგუფები წარიმართა წინასწარ შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმის გამოყენებით. პროცესს მოდერაციას უწევდნენ ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის წარმომადგენლები. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრაზე მიმდინარეობდა აუდიოჩანაწერის წარმოება, რომელიც გამოყენებულ იქნა მხოლოდ ფოკუს-ჯგუფის ტრანსკრიპტის შესადგენად და განადგურდა ტრანსკრიპტის შედგენისთანავე.

ფოკუს-ჯგუფის შედეგად მიღებული მანაცემები გაანალიზდა, გამოიყო შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი თემები, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და მომზადდა მიღებული შედეგების შესახებ ანალიზის ქვეთავი. ასევე, ფოკუს-ჯგუფის შედეგების შესაბამისად შეიქმნა სტრუქტურირებული კითხვარი კვლევის მეორე ეტაპისათვის.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ონლაინ გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც განთავსებული იყო Google Doc-ზე. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობის მიზნით მოწვევა გაეგზავნათ პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს. კვლევის ორივე ეტაპზე დაცული იყო კონფიდენციალურობა და კვლევის ეთიკის პრინციპები.



§2.2 შერჩევა

კვლევის თვისებრივი კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, პროფილი და მდებარეობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ფოკუს-ჯგუფებისათვის შეირჩა 12 უმაღლესი და 10 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში მონაწილეობის მიზნით შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი გაიგზავნა 64 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და 89 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებასთან, რითაც დაიფარა გენერალური ერთობლიობა. კითხვარის შევსების მაჩვენებელი არის 81% (72 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება და 51 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება), რაც უზრუნველყოფს ჩატარებული კვლევის რეპრეზენტატულობას და გვაძლევს მიღებული შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების შესაძლებლობას. 95% სანდოობის დონით შედეგების მაქსიმალური ცდომილება შეადგენს 3.9%-ს.

§2.3 მონაცემთა ანალიზი

ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული ინფორმაციის გასაანალიზებლად მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტები, რომლებიც დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს პირველ ეტაპზე მონაცემთა კოდირებას და შემდეგ აღნიშნულ ბლოკებში ნარატიული ანალიზის განხორციელებას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გასაანალიზებლად გამოვიყენეთ MS EXCEL, რისთვისაც მომზადდა მონაცემთა ბაზა, გაიწმინდა და ანალიზის მიზნების შესაბამისად დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები. ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური ოპერაციები.



§3. კვლევის შედეგების ანალიზი

§3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებრივი კვლევის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოიკვეთა კომუნიკაციის უფრო ეფექტური მექანიზმების საჭიროება. დაწესებულებების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ცენტრთან კომუნიკაციის კიდევ უფრო მოქნილი საშუალებები, როგორც ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების, ისე ცენტრში ინფორმაციის გაგზავნის პროცესში. ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებები ყველაზე ეფექტური კომუნიკაციის საშუალებად ელექტრონულ ფოსტას მიიჩნევენ, თუმცა ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სატელეფონო კონსულტაციით სარგებლობა ცენტრის კვალიფიკაციის სამსახურის წარმომადგენლებთან.

„სატელეფონო კომუნიკაცია ძალიან კარგი საშუალებაა ამა თუ იმ საკითხზე დეტალური განმარტების მისაღებად, თუმცა კომუნიკაციის ძირითად საშუალებად ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია უნდა დარჩეს“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილის კომენტარი).

ფოკუს-ჯგუფზე გამოითქვა ინიციატივა ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურისგან საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით კვირის განმავლობაში კონკრეტული დღისა და საკონტაქტო საათების გამოყოფასთან დაკავშირებით. აქვე, აღინიშნა, რომ ასეთი სახის კონსულტაცია შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ცენტრის შენობაში, ისე დისტანციურად. ამავე დროს, კონსულტირების დისტანციური ფორმის დანერგვა გაუადვილებს რეგიონში მდებარე დაწესებულებების წარმომადგენლებს მსგავსი სერვისების მიღებას. აქვე, აღინიშნა, რომ კონსულტირების სერვისით სარგებლობის საშუალება მიეცემათ როგორც დაწესებულებების წარმომადგენლებს, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც სურთ ახალი პროფესიული სტანდარტებისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) ინიცირება.

პროფესიული სტანდარტების, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულების ტექნიკური ხასიათის ცვლილებების საჭიროებასთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ



კარგი იქნება შეიქმნას გაზიარებული ექსელის დოკუმენტი ან გაკეთდეს ბმული, რომელზედაც დაწესებულებების წარმომადგენლები შეიტანენ ინფორმაციას მათ მიერ ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებში აღმოჩენილი ტექნიკური ცვლილებების საჭიროების შესახებ. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების განცხადებით ასეთი მექანიზმის არსებობა გაამარტივებდა მათთვის ცენტრის ინფორმირების პროცესს. დამატებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ნებისმიერი მექანიზმი, რომელსაც კვალიფიკაციების სამსახური შეარჩევს ტექნიკური ხარვეზების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს ტრენინგების საჭიროებაზე და აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურმა წინასწარ შეიმუშაოს წლის განმავლობაში დაგეგმილი/ჩასატარებელი ტრენინგების ჩამონათვალი, რომელიც იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი. ასევე, სასურველია, თითოეულ თემაზე ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა ჩატარდეს არანაკლებ 2-ჯერ, რათა გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების წვდომა შეთავაზებულ სერვისებზე.

„კარგი იქნება მოგვეცეს შესაძლებლობა, რომ წლის დასაწყისში, წინასწარ დავრეგისტრირდეთ ჩვენთვის სასურველ ტრენინგზე. ასევე, ერთი და იგივე ტრენინგი უნდა ტარდებოდეს განმეორებით წლის განმავლობაში, რათა მოგვეცეს საშუალება, რომ ჩვენთვის სასურველ სესიაზე დავრეგისტრირდეთ“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილის კომენტარი).

დაწესებულებების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში ცენტრის მიერ ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, სასურველია მათ მიეწოდოთ ინფორმაცია თუ კონკრეტულად სად და რა სახის ცვლილებები განხორციელდა, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს მათ რესურსებს და ხელს შეუწყობს პროცესების უფრო ეფექტურად განხორციელებას.

„თუ ცენტრისაგან მივიღებთ ინფორმაციას რომელ მოდულებში და მოდულის რა ნაწილში შევიდა ცვლილება, ეს დაგვეხმარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უფრო ეფექტურად განვითარებაში“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილის კომენტარი).


ფოკუს-ჯგუფზე დამატებით გამოითქვა ინიციატივა, რომ დაწესებულებების წარმომადგენლებმა, საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნის საფუძველზე, გაუზიარონ კვალიფიკაციების სამსახურს მათ მიერ ჩატარებული შრომის ბაზრისა თუ



დამსაქმებლების კვლევის შედეგები, რომლებიც ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების შემდგომი ცვლილებისა და განვითარების საჭიროების იდენტიფიცირების შესაძლებლობას შექმნის.

3.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივი კვლევის შედეგები


რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე დაწესებულებებიდან 42% წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, 41% საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ხოლო 17% არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს - იხილეთ დიაგრამა N1.




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები რამდენად წარმოადგენდა გამოწვევას მათთვის. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებებისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების ინიცირება (42%). ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა არსებულ პროფესიულ სტანდარტებსა (33%) და ჩარჩო



დოკუმენტებში შინაარსობრივი ცვლილებების ინიცირება (33%) - იხილეთ დიაგრამა N2.




ზემოთ იდენტიფიცირებული გამოწვევების შესაბამისად, დაწესებულებების წარმომადგენლები ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურისაგან ყველაზე მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ინიცირებასთან დაკავშირებულ პროცესებში (30%), ასევე, გამოიკვეთა მხარდაჭერის საჭიროება ჩარჩო დოკუმენტსა/მოდულებსა (29%) და პროფესიულ სტანდარტში ცვლილებების ინიცირების (16%) მიმართულებით - იხილეთ დიაგრამა N3.




გარდა ამისა, გამოითქვა მხარდაჭერის მიღების სურვილი შეფასებისა და მათ შორის დისტანციური შეფასების საკითხებზე.

ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით იდენტიფიცირებული მხარდაჭერის საჭიროებების შესაბამისად, დაწესებულებებს ვთხოვეთ შეეფასებინათ თუ მხარდაჭერის რა ფორმა იქნებოდა ყველაზე მეტად სასურველი მათთვის. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებების 53%-ისათვის მისაღები იქნება გზამკვლევებისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შეთავაზება, ხოლო 47% მხარს უჭერს ტრენინგების ჩატარებას. აქვე, აღნიშნული ორი ალტერნატივა რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე დაწესებულებებისათვის ჩვენ მიერ იქნა შეთავაზებული თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თუმცა ონლაინ გამოკითხვის პროცესში, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაემატებინათ მათთვის სასურველი ალტერნატივა, თუმცა ყველა რესპონდენტმა მხარი დაუჭირა ტრენინგების ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების/გზამკვლევების იდეას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მხარდაჭერის ორივე გზა მეტ-ნაკლებად სასურველია დაწესებულებებისათვის და კვალიფიკაციების სამსახურს შეუძლია დაწესებულებებს შესთავაზოს, როგორც მეთოდოლოგიური დოკუმენტები და გზამკვლევები, ისე ტრენინგები ზემოთ ინდენტიფიცირებული პროცესების მიმართულებით, რათა ყველა დაწესებულების ინტერესები იქნას დაკმაყოფილებული - იხილეთ დიაგრამა N4.


დიაგრამა N4. სამსახურის მხრიდან მხარდაჭერის შესაძლო გზები



დაწესებულებების წარმომადგენლებს ვთხოვეთ 1-დან 5 ქულამდე შეეფასებინათ ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის ეფექტურობა. მიღებული შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილე დაწესებულებების 81%-მა ხუთბალიანი (უმაღლეს) შეფასება დააფიქსირა, რაც ნიშნავს, რომ სამსახურთან კომუნიკაცია ეფექტურად არის მიჩნეული და დაწესებულებების წარმომადგენლები ახერხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიღებას - იხ. დანართი N6.




კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას შორის, დაწესებულებების წარმომადგენლები ყველაზე ეფექტურად მიიჩნევენ ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციას (47%). ასევე, ისევე როგორც თვისებრივი კვლევისას, დაფიქსირდა საკონსულტაციო საათების დანერგვის სურვილი (46%) - იხ. დიაგრამა N7. აქვე, რეგიონში მდებარე დაწესებულებების მხრიდან გამოითქვა მსგავსი კონსულტაციების დისტანციურად ჩატარების სურვილი, რაც მათ საშუალებას მისცემს დაუბრკოლებლად ისარგებლონ მსგავსი სერვისით.





დაწესებულებების წარმომადგენლებს ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების შესახებ ცენტრის ინფორმირებისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიაჩნიათ გაზიარებული ბმულის არსებობა, რომელზედაც შეავსებენ ინფორმაციას იდენტიფიცირებული ხარვეზის შესახებ და ავტომატურად გამოაგზავნიან ცენტრში (70%) - იხილეთ დიაგრამა N8.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, დაწესებულებებს სურთ მიეწოდოთ ინფორმაცია თუ კონკრეტულად დოკუმენტის რომელ კომპონენტში იქნა განხორციელებული ცვლილება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი პროგრამების ცენტრის მიერ განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესის ეფექტიანობას.

8.3.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებრივი კვლევის შედეგები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უკუკავშირმა ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის სერვისების შესახებ, შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა მათთვის აქტუალური პრობლემატიკის იდენტიფიცირება და შეგვეჯამებინა მათი წინადადებები სასურველი მხარდამჭერი ღონისძიებების ფორმისა და შინაარსის შესახებ, რაც შემდგომში აისახა უსდ-ების ხარისხის სამსახურებთან გაგზავნილ კითხვარში.



ფოკუს ჯგუფის ფარგლებში ვცადეთ დაგვედგინა რა ინფორმაცია აქვთ რესპონდენტებს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის საქმიანობის შესახებ, რისთვისაც მოკლედ აღვწერეთ კვალიფიკაციების სამსახურის ფუნქციები და უსდ-ების წარმომადგენლებს ვთხოვეთ მოეხდინათ მათი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურების საქმიანობასა და კვალიფიკაციების სამსახურის ფუნქციებს შორის შეხების წერტილების იდენტიფიცირება. ჯგუფური ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კვალიფიკაციების სამსახურის საქმიანობას უსდ-ების ნაწილი ხშირად აიგივებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობასთან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესთან. კვალიფიკაციების საქმიანობის შესახებ, ან მათთან კომუნიკაციის ფორმების გაუმჯობესების შესახებ დასმულ კითხვებზე უსდ-ების წარმომადგენლები ძირითადად ხაზს უსვამდნენ კლასტერული აკრედიტაციის საკითხს, როგორც დღეისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევას, პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას აკრედიტაციის სტანდარტებთან და ამ კონტექსტში პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის გაწერის მართებულობის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუს მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ცენტრს არ აქვს ერთიანი პოზიცია. თუ კვალიფიკაციების სამსახურის რეკომენდაციაა რომ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი გაიწეროს პროგრამის შედეგებში აკრედიტაციის პროცესის შესახებ ჩატარებულ ტრენინგებზე მიუთითებენ, რომ აღნიშნული პროგრამის სპეციფიკასა და საჭიროებებზეა დამოკიდებული და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა. თუმცა პროგრამაში აღნიშნული კომპონენტის ფორმულირება ან მისი არარსებობა ხშირად ხდება აკრედიტაციის ექსპერტთა მხრიდან შეკითხვებისა და განსჯის საგანი.

ამასთან მონაწილეები აღნიშნავდნენ თვითშეფასების ანგარიშის ფორმის შევსების შესახებ დამატებითი რეკომენდაციებისა და ტრენინგების აუცილებლობასაც, თუმცა აღნიშნული უფრო მეტად არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენცია.

შეკითხვაზე, თუ კვალიფიკაციების სამსახურის საქმიანობის უფლებამოსილების ფარგლებში რა თემებზე და საკითხებზე ისურვებდით სისტემატიური კონსულტაციების/ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების გამართვას ან სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნას - ინტერვიუს მონაწილეებმა აღნიშნეს კლასტერული აკრედიტაციის პროცესში პროგრამების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცედურებსა და ვადებზე ინფორმირება, სწავლის სფეროების განახლებულ კლასიფიკატორთან მუშაობისას, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დეტალურ სწავლის სფეროში სწორად



კლასიფიცირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები ან ტრენინგები, ასევე აღნიშნეს, რომ გარკვეული პერიოდულობით აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ტრენინგები სხვადასხვა მიმდინარე და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.


ფოკუს-ჯგუფით გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს აქვთ არაერთგვაროვანი წარმოდგენები საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მათ სჭირდებათ დამატებითი განმარტებები კლასტერული აკრედიტაციის პროცესის შესახებ, ასევე გამოიკვეთა კვალიფიკაციების სამსახურის მხარდაჭერის გაძლიერების აუცილებლობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდების ფორმულირების, ინტერდისციპლინური და არაკლასიფიცირებული სფეროების პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთაგან აქცენტი გაკეთდა ისეთ მხარდამჭერ ღონისძიებებზე, როგორებიცაა სახელმძღვანელოები და გზამკვლევები, ასევე მიზნობრივ აუდიტორიასთან ჩატარებული თემატური ტრენინგები.


3.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივი კვლევის შედეგები

გამოკითხვაში მონაწილე უსდ-ებიდან 69% მდებარეობს თბილისში 14% მდებარეობს ბათუმში, 5% - ქუთაისში, 4% - გორში, 2-2% კი ზუგდიდში, თელავში, ახალციხეში და ა.შ. - იხილეთ დიაგრამა N9.


დიაგრამა N9. გამოკითხვაში მონაწილე უსდ-ების ადგილმდებარეობა



გამოკითხვაში მონაწილე უსდ-ების 14,3%-მა მიუთითა, რომ ახორციელებს მე-4 დონის საგანმანათლებლო პროგრამებს, გამოკითხულთაგან 91% ახორციელებს მე-6 დონის საბაკალავრო პროგრამებს, 87,5% ახორციელებს სამაგისტრო საფეხურის პროგრამებს, ხოლო 46,4% ახორციელებს სადოქტორო საფეხურის პროგრამებს - იხილეთ დიაგრამა N10.



კითხვარის საშუალებით დადგინდა, რომ გამოკითხული უსდ-ების 71% პროგრამებს ახორციელებს როგორც ავტორიზებულ, ისე აკრედიტებულ რეჟიმში, პროგრამებს მხოლოდ აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს გამოკითხული დაწესებულებების 18%, ხოლო მხოლოდ ავტორიზებულ რეჟიმში გამოკითხულთა 11%. - იხილეთ დიაგრამა N11.






რაოდენობრივი კვლევით დადგინდა, რომ გამოკითხული უსდ-ების 48%-ისთვის გამოწვევაა სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ფორმულირება, 13%-ისათვის შედარებით რთულია სწავლებისა და შეფასების მეთოდების კომპონენტის ფორმულირება, 14%-ისთვის კლასიფიკატორის შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, 4%-ისთვის კი პროგრამის შესწავლის მიზნისა და პროგრამის სწავლის შედეგების კომპონენტში ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტების ჩამოყალიბება, გამოკითხულთა 2%-ისთვის გამოწვევაა სწავლის შედეგებში უნარის კომპონენტის ფორმულირება.


გამოკითხულთა 15%-მა ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი მიუთითა, 15-დან 8%-აღნიშნა, რომ ჩამოთვლილთაგან არცერთი კომპონენტის ფორმულირება არ წარმოადგენს მათთვის სირთულეს, 2%-მა მიუთითა, რომ უჭირთ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება, 3%-მა მიუთითა, რომ სწავლის შედეგების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ყველა კომპონენტის შემუშავება წარმოადგენს გამოწვევას, ხოლო 2%-ის პასუხები ძირითადად ეხებოდა პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობის კომპონენტის პროგრამაში არსებობის საჭიროებას, ერთ-ერთი გამოკითხული ეჭვებს გამოთქვამდა საბაკალავრო პროგრამებში აღნიშნული სწავლის შედეგის არსებობის მართებულობაზე და ხაზს უსვამდა აღნიშნულ საკითხში მეტი სიცხადის შეტანის აუცილებლობას:

„კითხვის ნიშნები ჩნდება ბევრი, საერთოდ უნდა გადიოდეს თუ არა საბაკალავრო პროგრამების დიდი ნაწილი მე-3 უნარზე? თუ ასაბუთებ რომ გადისო სადავო ხდება საკითხი. თუ ასაბუთებ რომ ვერ გადისო მაინც სადავო ხდება ეს საკითხი, ამიტომ საჭიროა მეტი განმარტება მე-3 შედეგთან დაკავშირებით.“ - იხილეთ დიაგრამა N12.



გამოკითხული 51 უსდ-დან 39%-ისთვის პრიორიტეტულია ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან დახმარება კონკრეტული პროგრამის შესაბამის სწავლის სფეროში კლასიფიცირების პრინციპების მიმართულებით. 27%-მა მიუთითა, რომ მათთვის კვალიფიკაციების სამსახურის დახმარება საჭიროა ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ზოგადი პრინციპების განსაზღვრის თვალსაზრისით. 10%-მა მიუთითა, რომ ცენტრის მხრიდან სჭირდებათ დამატებითი განმარტებები არაკლასიფიცირებული პროგრამების შემუშავების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრისა და კვალიფიკაციების დასახელებების ფორმულირების ზოგადი პრინციპების განმარტებისთვის - იხილეთ დიაგრამა N13.


დიაგრამა N13. მიმართულებები, რომლებშიც უსდ-ებს სჭირდებათ კვალიფიკაციების სამსახურის დახმარება კლასიფიკატორთან მუშაობის დროს




- კონკრეტული პროგრამის შესაბამის სწავლის სფეროსთან კლასიფიცირების პრინციპები
- კვალიფიკაციების დასახელებების ფორმულირება
- არაკლასიფიცირებული პროგრამების შემუშავების ზოგადი პრინციპები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები
- ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები
- სხვა

კითხვარის ფარგლებში რესპონდენტებს ვთხოვეთ 5 ბალიანი სისტემით შეეფასებინათ ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის დამკვიდრებული პრაქტიკის ეფექტიანობა, სადაც 1 იყო ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 5 ყველაზე მაღალი შეფასება. 51 გამოკითხულიდან არცერთს არ შეუფასებია კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის დამკვიდრებული პრაქტიკა 1 ან 2 ქულით. აღნიშნულ პრაქტიკას საშუალო შეფასება (3 ქულა) განუსაზღვრა გამოკითხულთა 14%-მა, 27%-მა პროცენტმა კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციას საშუალოზე მაღალი შეფასება მისცა (4 ქულა), ხოლო გამოკითხულთა 59%-მა კომუნიკაციის დამკვიდრებული პრაქტიკა ყველაზე მაღალი შეფასებით, 5 ქულით შეაფასა - იხილეთ დიაგრამა N14.


დიაგრამა N14. ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის დამკვიდრებული პრაქტიკის შეფასება უსდ-ების მიერ (1 ყველაზე დაბალი, 5 ყველაზე მაღალი შეფასება)



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში უსდ-ებიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია მათთვის ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან ყველაზე ოპტიმალური მხარდამჭერი სერვისების შესახებ, სადაც გამოკითხვაში მონაწილე დაწესებულებების 25%-მა მიუთითა, რომ ყველაზე რელევანტური მხარდამჭერი სერვისი იქნებოდა თემატური ტრენინგები კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის შესაბამისად; 29%-მა მიუთითა, რომ მათთვის ყველაზე ოპტიმალური სერვისი იქნებოდა საკონსულტაციო შეხვედრები, 41%-მა აღნიშნა სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და გზამკვლევების მომზადება, დაწესებულებების 5%-ის მოსაზრებით კი გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა ყველა ჩამოთვლილი მხარდამჭერი სერვისის კომბინირება - იხილეთ დიაგრამა N15.




კითხვარის ფარგლებში განხორციელდა თემების იდენტიფიცირება კვალიფიკაციების სამსახურის მიერ უსდ-ებისთვის სასურველი შინაარსის ტრენინგების შემუშავების მიზნით. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი - 62% დაინტერესებულია ტრენინგებით კლასტერული აკრედიტაციის თემაზე; 10%-მა მიუთითა, რომ ისურვებდა ტრენინგებს სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შესახებ; 8%-ს სჭირდება ტრენინგები კლასიფიკატორთან დაკავშირებით; 6%-მა ტრენინგების სასურველ თემატიკად მიუთითა თვითშეფასების ანგარიშების შემუშავება; 4%-მა მიუთითა, რომ ესაჭიროებათ ტრენინგები სწავლა-სწავლების შეფასების მეთოდების ფორმულირების შესახებ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით; გამოკითხულთა 6%-მა მიუთითა ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პახუხი და აღნიშნა, რომ ყველა ჩამოთვლილ თემაზე ტრენინგები აუცილებელია და კვალიფიკაციების სამსახური სისტემატურად უნდა ატარებდეს ტრენინგებს ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით. - იხილეთ დიაგრამა N16.




რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში უსდ-ების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ სურვილისამებრ მიეთითებინათ თუ სხვა რა დამატებითი ინფორმაციის გაზიარებას ისურვებდნენ კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან. აღნიშნულ შეკითხვას 51 გამოკითხულიდან სულ 21-მა უპასუხა. 24%-მა აღნიშნა, რომ ისურვებდა კლასტერული აკრედიტაციის პროცესში უკეთ გარკვევას ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების გზით; 14%-მა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან სასურველია მეტი კომუნიკაცია და უფრო მკაფიო განმარტება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და განახლებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დაკავშირებით, რადგან განახლებულ კლასიფიკატორთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა საკმაოდ კომპლექსური და შრომატევადი პროცესია და ამ მიმართულებით ესაჭიროებათ სახელმძღვანელო პრინციპების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა; 24%-მა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სწავლის შედეგებისა და სწავლა-სწავლების მეთოდების ფორმულირების შესახებ დამატებითი კონსულტაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების აუცილებლობას; დანარჩენმა გამოკითხულებმა აქცენტი გააკეთეს კვალიფიკაციების სამსახურის მიერ სხვადასხვა შინაარსის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასევე დავინტერესდით თბილისისა და საქართველოს რეგიონებში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მიერ განსაზღვრულ მხარდამჭერ სერვისებსა და ტრენინგების თემატიკაში გამოიკვეთებოდა თუ არა სხვაობა. მდებარეობის მიხედვით უსდ-ების წარმომადგენელთა პასუხების ანალიზმა და შედარებამ ცხადყო, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება დედაქალაქსა და რეგიონებში მდებარე უსდ-ების მიერ განსაზღვრული ყველაზე რელევანტური მხარდამჭერი სერვისები კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან. კერძოდ, გამოკითხული რეგიონული უსდ-ების 41%-მა მათთვის ყველაზე ოპტიმალურ მხარდამჭერ სერვისად დაასახელა თემატური ტრენინგები კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის შესაბამისად. აღნიშნულ დებულებას დედაქალაქში მდებარე უსდ-ების მხოლოდ 18% დაეთანხმა. დედაქალაქში მდებარე უსდ-ების 50%-ისთვის ყველაზე რელევანტური მხარდამჭერი სერვისია სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და გზამკვლელების შემუშავება, ხოლო მითითებული სერვისი ყველაზე რელევანტურია რეგიონული უსდ-ების 24%-ისთვის – იხილეთ დიაგრამა N17.




ამასთან, უსდ-ების გამოკითხვის შედეგების მდებარეობის მიხედვით შედარებამ აჩვენა, რომ რეგიონული უსდ-ების 35% კვალიფიკაციების სამსახურის მიერ შეთავაზებულ ყველაზე რელევანტურ სერვისად მიიჩნევს საკონსულტაციო შეხვედრებს. აღნიშნული ტიპის სერვისი დედაქალაქის უნივერსიტეტებში 9%-ით ნაკლებმა (26%-მა) მიუთითა – იხილეთ დიაგრამა N18.



გამოკითხვამ აჩვენა, რომ მდებარეობის მიუხედავად, ავტორიზებული უსდ-ების უმრავლესობამ (რეგიონული უსდ-ების 65%-მა და დედაქალაქის უსდ-ების 62%-მა) მიუთითა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მიერ კლასტერული აკრედიტაციის პროცესის შესახებ ტრენინგების ჩატარება. ამასთან, რეგიონებში მდებარე უსდ-ების 12%-ს და დედაქალაქის უსდ-ების 9%-ს სურს ტრენინგები სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული უსდ-ების 12%-ს სურს ტრენინგების ჩატარება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების ფორმულირების შესახებ. აღნიშნული თემატიკის ტრენინგის საჭიროებაზე კი არ მიუთითებია არცერთ იმ უსდ-ს, რომელიც თბილისში მდებარეობს. აღნიშნულისგან განსხვავებით, მხოლოდ დედაქალაქში მდებარე უსდ-ების წარმომადგენლებმა მიუთითეს შემდეგი თემატიკის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე: ტრენინგები კლასიფიკატორთან დაკავშირებით (11%); ტრენინგები კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით (6%) - იხილეთ დიაგრამა N19.





§4. კვლევის ძირითადი მიგნებები და შემდგომი ნაბიჯები

§4.1 ძირითადი მიგნებები და დაგეგმილი ნაბიჯები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან დაკავშირებით

- დაწესებულებებისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების ინიცირება, ასევე არსებულ პროფესიულ სტანდარტებში და ჩარჩო დოკუმენტებში შინაარსობრივი ცვლილებების ინიცირება;
- დაწესებულებები ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურისაგან ყველაზე მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ინიცირების, ჩარჩო დოკუმენტსა და პროფესიულ სტანდარტში ცვლილების ინიცირების მიმართულებით;
- დაწესებულებები ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურისაგან საჭიროებენ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს/გზამკვლევებსა და ტრენინგებს;
- კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას შორის, დაწესებულებების წარმომადგენლები ყველაზე ეფექტურად მიიჩნევენ ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციას;
- არსებობს საკონსულტაციო საათების (როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად) დანერგვის სურვილი, რაც გულისხმობს რომ დაწესებულებების წარმომადგენლები წინასწარ ჩაეწერებიან კონსულტაციაზე კვალიფიკაციების სამსახურის წარმომადგენლებთან და განსაზღვრულ დროს შეძლებენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე კონსულტაციის მიღებას;
- დაწესებულებების წარმომადგენლებს ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების შესახებ ცენტრის ინფორმირებისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიაჩნიათ გაზიარებული ლინკის არსებობა, რომელზედაც შეავსებენ შესაბამის ინფორმაციას და გამოაგზავნიან ცენტრში;
- ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, დაწესებულებებს სურთ მიეწოდოთ ინფორმაცია თუ კონკრეტულად დოკუმენტის რომელ კომპონენტში იქნა განხორციელებული ცვლილება.

აღნიშნული მიგნებების შესაბამისად,

- კვალიფიკაციების სამსახურის მიერ მომზადდება ტრენინგები, გზამკვლევები და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები ახალი ჩარჩო



დოკუმენტის/მოდულის ინიცირების, ჩარჩო დოკუმენტსა და პროფესიულ სტანდარტში ცვლილების ინიცირების შესახებ;

- კვალიფიკაციების სამსახური ყოველი წლის დასაწყისში შეიმუშავებს ტრენინგების გეგმას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის და ისინი შეძლებენ მათთვის სასურველ ნაკადზე რეგისტრაციას;
- კვალიფიკაციების სამსახური გააგრძელებს დაწესებულებების ინფორმირებას და მათთან კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ასევე, ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიახლეები, რომლებიც რელევანტურია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის გაეგზავნებათ მათ ელექტრონულ ფოსტაზეც;
- კვალიფიკაციების სამსახურში დაინერგება საკონსულტაციო საათების პრაქტიკა. კერძოდ, შეიქმნება კონსულტაციაზე რეგისტრირების სერვისი, რომლის განთავსდებაც ცენტრის ვებ-გვერდზე. დაწესებულებების წარმომადგენლები შეძლებენ წინასწარ დაჯავშნონ კონსულტაცია, მათთვის სასურველ დროს. ასევე აირჩიონ კონსულტაციის მათთვის მისაღები ფორმა (დისტანციურად ან პირისპირ);
- კვალიფიკაციების სამსახურის მიერ შეიქმნება გაზიარებული ლინკი, რომელზედაც დაწესებულებების წარმომადგენლები შეავსებენ ინფორმაციას ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ავტომატურად აკუმულირდება კვალიფიკაციების სამსახურის შესაბამის ბაზაში და სამსახურს მისცემს ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე/შეუსაბამობებზე სრულყოფილ მონაცემებს;
- კვალიფიკაციების სამსახური ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.



§4.2 ძირითადი მიგნებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიხედვით

- კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხული უსდ-ების თითქმის ნახევარი სწავლის შედეგებში - პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ფორმულირებას გამოწვევად მიიჩნევს. აღნიშნულის შესახებ ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას გამოითქვა არაერთი მოსაზრება, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის განსაზღვრა ცენტრისავე რეკომენდაციით არ იყო სავალდებულო და იმ სწავლის სფეროზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, რომელსაც განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამა. ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მოსაზრებით აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის რა ხარისხით შეძლებენ ისინი მიღებული ცოდნის გამოყენებას.
- გამოკითხული უსდ-ების ნაწილი აღნიშნავს, რომ სწავლის შედეგების განსაზღვრის კომპლექსურობიდან გამომდინარე მათთვის შედარებით რთულია სწავლებისა და შეფასების მეთოდების კომპონენტის ფორმულირება.
- თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უსდ-ების ნაწილისთვის ასევე გამოწვევაა კლასიფიკატორის შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება. ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას გაცხადდა, რომ კლასიფიკატორის მიხედვით კვალიფიკაციების დასახელებების ფორმულირების უნიფიცირებული წესის არარსებობის გამო, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ფორმულირებით იქნას ჩამოყალიბებული (მაგ. კვალიფიკაცია: ფილოსოფიის ბაკალავრი – ბაკალავრი ფილოსოფიაში), რაც იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას.
- გამოკითხვამ აჩვენა, რომ უსდ-ების ნაწილისთვის გამოწვევად რჩება კონკრეტული პროგრამის შესაბამის სწავლის სფეროსთან კლასიფიცირების პრინციპები, ასევე გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ინტერდისციპლინური პროგრამებისა და არაკლასიფიცირებული პროგრამების შემუშავებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება.



- გამოკითხვით დადგინდა, რომ ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის დამკვიდრებულ პრაქტიკას უსდ-ები აძლევენ საშუალო ან მაღალ შეფასებას.
- კვალიფიკაციების სამსახურის მიერ უსდ-ების მხარდასაჭერად შესამუშავებელი ტრენინგების შესახებ შეგროვებული მონაცემების ანალიზმა ცხადჰყო, რომ კლასტერული აკრედიტაციის პროცესის გააქტიურების და უსდ-ებისთვის აღნიშნული თემის აქტუალობიდან გამომდინარე, აღნიშნულ თემებზე უნივერსიტეტებს სჭირდებათ დამატებითი ინფორმირება ცენტრის მხრიდან აღნიშნული პროცესის მიმდინარეობის, ვადების და პროცედურების შესახებ.

დაგეგმილი ნაბიჯები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ფორმულირების მართებულობასთან დაკავშირებით უსდ-ების გამოწვევის დასაძლევად მიზანშეწონილია:

1. ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლობით გაიმართოს საინფორმაციო შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების ფორმულირების შესახებ, სადაც ხაზგასმული იქნება ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის კომპონენტის გაწერის მნიშვნელობა;
2. უმაღლესი განათლების ყველა დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი;
3. მომზადდეს გზამკვლევი სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ჩამოყალიბების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ.

უსდ-ებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესის გამარტივებისთვის მიზანშეწონილია:



1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ტრენინგების ორგანიზება სხვადასხვა სფეროსთვის თანამედროვე და რელევანტური სწავლება-სწავლა-შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით;
2. ყველა დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში სწავლება-სწავლა-შეფასების მეთოდების კომპონენტში შესაბამის დარგში აპრობირებული ყველა ინოვაციური და დამკვიდრებული მეთოდის სრულყოფილად ასახვა;

კვალიფიკაციების ფორმულირების გამოწვევის დასაძლევად შესაძლებელია კვალიფიკაციების სამსახურის მიერ მოხდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების სარეკომენდაციო მიდგომების განსაზღვრა.

ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან, უსდ-ებისთვის სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან მუშაობის გაადვილების მიზნით, საჭიროა შემუშავდეს ტრენინგები/გზამკვლევები შესაბამისი მაგალითებით შემდეგი მიმართულებებით:

- კონკრეტული პროგრამის შესაბამის სწავლის სფეროში კლასიფიცირების პრინციპები;
- ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები;
- არაკლასიფიცირებული პროგრამების შემუშავებისა და მათ ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები.

კვალიფიკაციების სამსახურთან კომუნიკაციის ფორმებისა და ფორმატის გამრავალფეროვნებისა და გაუმჯობესების მიზნით,

- საკონსულტაციო შეხვედრებისთვის უნდა შემუშავდეს სარეგისტრაციო ფორმა, სადაც დაწესებულება მიუთითებს საკონსულტაციო შეხვედრის თემატიკას, თარიღსა და შეხვედრის ფორმატს;
- აგრეთვე სისტემატური ხასიათი (წელიწადში სულ მცირე ორჯერ) უნდა მიეცეს უსდ-ების მოთხოვნის გათვალისწინებით შემუშავებულ თემატიკასა და კვალიფიკაციების სამსახურის სიახლეების შესახებ ტრენინგების ჩატარებას.

სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და თემატური ტრენინგების ნაწილში, უსდ-ების საჭიროებებზე მორგებული სერვისების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უნდა შემუშავდეს იდენტიფიცირებული საკითხების შესაბამისი გზამკვლევები:

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესახებ: ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრისა და



არაკლასიფიცირებული პროგრამების შემუშავებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის შესახებ, კლასიფიკატორის შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირების სახელმძღვანელო პრინციპების მიმართულებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბების მიმართულებით: სწავლის შედეგების ფორმულირების სახელმძღვანელო პრინციპებისა და სწავლება-სწავლა-შეფასების მეთოდების კომპონენტის ჩამოყალიბების შესახებ.

უსდ-ებისთვის კლასტერული აკრედიტაციის პროცესის თემის აქტუალობიდან გამომდინარე, და აღნიშნული მიმართულებით უსდ-ების ინფორმირებულობისა და პროცესში მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად, საჭიროა კვალიფიკაციების სამსახურისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით კლასტერული აკრედიტაციის პროცესსა და ვადებზე ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.

გამოკითხულთა 10%-მა ასევე ხაზი გაუსვა სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შესახებ ტრენინგების აუცილებლობას, აღნიშნული მიზნით გზამკვლევების შემუშავებასთან ერთად შესაძლებელია მომზადდეს ტრენინგი ადგილობრივი და უცხოელი განათლების ექსპერტების ჩართულობით, სადაც განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების ფორმულირების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები.

მიგვაჩნია, რომ უსდ-ების გამოკითხვის ფარგლებში ხაზგასმული სხვა თემატიკა შესაძლებელია დაიფაროს კვალიფიკაციების სამსახურის მიერ წელიწადში 2-ჯერ გასამართი ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

რადგან რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავება დედაქალაქსა და რეგიონებში მდებარე უსდ-ებს შორის, კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან მათთვის ყველაზე რელევანტური მხარდამჭერი სერვისების განსაზღვრასთან დაკავშირებით, ტრენინგების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამიზნე აუდიტორიაც. კერძოდ, რეგიონული უსდ-ები ამჯობინებენ კონკრეტული აუდიტორიის ინტერესებზე მორგებულ თემატურ ტრენინგებს, მაშინ, როდესაც დედაქალაქში მდებარე უსდ-ებისთვის მხარდამჭერის ყველაზე მისაღები ფორმა სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავებაა.

კვალიფიკაციების სამსახურის მხრიდან უნივერსიტეტების საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო შეხვედრები, თემატური ტრენინგების ჩატარება და



სახელმძღვანელოების შემუშავება მართებული გადაწყვეტაა უსდ-ებთან ეფექტიანი კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.